ასოციაცია"მწვანე ალტერნატივა"
Association "Green Alternative"

"05-02-2004"

2004 წლის 21 დეკემბერი

საქართველოს ეკონომიკის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ თამარ კოვზირიძეს

თემა: კომენტარები ენერგეტიკისა და გარემოსდაცვის სფეროში ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამის ანგარიშში გასათვალისწინებლად

ქალბატონო თამარ,

ამა წლის 14 დეკემბერს გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამის განხორციელების ერთი წლის შედეგების შეფასება და სამომავლო გეგმების წარდგენა მოხდა. ამავე დროს, დაინტერესებულ პირებსა თუ ორგანიზაციებს მიეცათ ერთ კვირიანი ვადა შენიშვნებისა თუ კომენტარების წარსადგენად აღნიშნულ დოკუმენტსა და მის განხორციელებასთან დაკავშირებით.

უპირველეს ყოვლისა, გვსურს აღვნიშნოთ, რომ ეკონომიკური განვითარებისა და სიღაბის დაძლევის პროგრამის დოკუმენტის თანახმად, პროგრამის განხორციელებისას ერთ-ერთი აუცილებელი პირობა უნდა იყოს – სამოქალაქო საზოგადოების თანამონაწილეობა როგორც განხორციელების, ასევე განხორციელებული სამუშაოების შეფასების პროცესში[1]. საზოგადოების თანამონაწილეობის უზრუნველყოფის (საერთაშორისო დონეზე აღიარებული სტანდარტების შესაბამისად) ვალდებულება იყო ის ძირითადი წინაპირობა, რომელსაც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები უყენებდნენ საქართველოს მთავრობას პროგრამის დამტკიცებისას. თუმცა ამჟამად მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ვალდებულება დღეისათვის სათანადოდ არ სრულდება.

[1] ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამა, თავი 5. პროგრამის განხორციელების კოორდინაცია, მონიტორინგი და სამოქალაქო საზოგადოების თანამონაწილეობა, ქვეთავი 5.4 თანამონაწილეობა.

ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ №1,
სადარბაზო, V სართული
ტელ: 22 38 74 / 99 04 72; ფაქსი: 93 24 03
ელ-ფოსტა: ndadalauri@wanex.net დადალური წანეხ
ვებ-გვერდი: www.greenalt.wanex.net

Address: 1 Rustaveli ave. I entrance, IV floor
Tel: +995 32 93 24 03 / 99 04 72;
Fax: + 995 22 38 74
E-mail: ndadalauri@wanex.net
Website: www.greenalt.wanex.net

არც ერთი საერთაშორისო, თუ ადგილობრივ დონეზე აღიარებული სტანდარტის მიხედვით, არ შეიძლება საზოგადოების თანამონაწილეობად ჩაითვალოს პროგრამის განხორციელების ამსახველი ანგარიშის პროექტის საზოგადოების ვიწრო წრისათვის პრეზენტაციის მოწყობა და მითუმეტეს, კომენტარებისთვის ერთკვირიანი ვადის დადგენა.

ამდენად, იმ იმედით, რომ საქართველოს ხელისუფლება შეასრულებს როგორც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების, ასევე საკუთარი მოსახლეობის მიმართ აღებულ ვალდებულებას და საზოგადოებას რეალურად მისცემს პროცესში მონაწილეობის საშუალებას, წარმოგიდგენთ მცირეოდენ შენიშვნებს, რომელთა მომზადებაც იყო შესაძლებელი ერთი კვირის ვადაში.

გამომდინარე წარმოდგენილი ანგარიშის სათაურიდან, დოკუმენტის მიზანი უნდა იყოს პროგრამით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელების მიმდინარეობისა და შედეგების ანალიზი და შეფასება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და სიღარიბის დაძლევისასთან მიმართებაში. სამწუხაროდ უნდა აღინშინოს, რომ დოკუმენტი შემოიფარგლება მხოლოდ ზოგადი დაუსაბუთებელი შეფასებებით და ასევე დაუსაბუთებელი სამომავლო გეგმებით.

ასე მაგალითად, თუ პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ქმედებების ინდიკატორი იქნება სიღარიბის დაძლევის პოტენცია, მაშინ სრულიად გაუმართლებლად და პარადოქსულად ჟღერს ენერგოსექტორში დაგეგმილი პროექტის – ხუდონჰესის მშენებლობა, რომელიც 15 წლის წინ სწორედ ბუნებრივი კატასროფის საშიშროებისა და ადგილობრივი მოსახლეობის გადასახლების აუცილებლობის გამო შეჩერდა. ამჯერად კი იგივე რისკ ფაქტორების არსებობის პირობებში ხუდონჰესის 500-600 მილიონ დოლარად შეფასებული მშენებლობა ქვეყნის ენერგოკრიზისიდან გამოყვანის და შესაბამისად სიღარიბის შემცირების (?!) წინაპირობად გვევლინება.

ამავდროულად, ანგარიშში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ თუ რა პროგრესი იქნა მიღწეული საქართველოის ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლების პროგრამის ისეთი პრიორიტეტის მიმართ როგორიცაა არსებული ჰიდროელექტროსადგურების სიძლავრეების რეაბილიტაცია და ტექნიკური გადაიარაღება, რაც დარგის წარმოებისუნარიანობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად იყო დასახელებული. ასევე არაფერია ნათქვამი არც განხორციელებულ და არც დაგეგმილ ქმედებებში, განახლებადი ენერგორესურსების ათვისების მიზნით ინვესტიციების მოზიდვაზე და წარმოებასა და ყოფაცხოვრებაში ენერგოდამზოგი ტექნოლოგიების დამკვიდრებაზე (თუმცა, ეს საკითხებიც პროგრამით ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტებად იყო განსაზღვრული).

ენერგო სექტორში სამომავლოდ დაგეგმილ ქმედებებს შორის საგანგებოდაა გამოყოფილი “პრივატიზების პროცესის ეფექტური განხორციელება”. დოკუმენტში წარმოდგენილი პრივატიზების “სტრატეგიული გეგმაში” აღნიშნულია (ყოველგვარი დასაბუთების გარეშე), რომ ელექტროენერგიის დისტრიბუციის კერძო საკუთრებაში გადასვლის შედეგად გაიზრდება მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებელი. თუმცა ე.წ. “გეგმაში” არაფერია ნათქვამი იმის შესახებ თუ რამდენად შეუწყობს ხელს ეს პროცესი მომხმარებლისათვის მომსახურების გაუმჯობესებას. სამწუხაროდ მოსახლეობას, თბილისის მაგალითზე, უკვე აქვს ენერგო სექტორში განხორციელებული სწრაფი და დაუსაბუთებელი პრივატიზაციის უარყოფითი გამოცდილება, როდესაც სახელმწიფო მონოპოლია შეიცვალა კერძო მონოპოლიით და მოხმარებულ ელექტროენერგიაზე ტარიფის ზრდის მიუხედავად, წლების განმავლობაში

არაფერი იცვლებოდა მომხმარებლებისათვის მომსახურების გაუმჯობესების თვალსაზრისით.

1996 წლიდან ენერგო სექტორის ლიბერალიზაცია მრავალ განვითარებულ ქვეყანაში განხორციელდა. თუმცა დღეისათვის უკვე არსებობს უამრავი კველევა და მაგალითი მასზედ, თუ როგორ ილახება მცირე მომხმარებლების (რიგითი მოქალაქეების) უფლებები კერძო კომპანიების მიერ ელექტრო ენერგიის ფასების კომერციული მანიპულაციის პირობებში და სახელმწიფოს ჩაურევლობა როგორ ქმნის ენერგოუსაფრთხოების პრობლემას.

შესაბამისად, გაუმართლებელია სიღარიბის დაძლევისთვის შექმნილი პროგრამის ფარგლებში არ გავითვალისწინოთ სიღარიბის დონის ერთ-ერთი მთავარი პარამეტრის – ენერგო რესურსების ხემისაწვდომობის დონის ფაქტორი.

სუსტი ეკონომიკისა და გაუმართავი საკანონმდებლო ბაზის პირობებში აუცილებელია, საქართველოს მთავრობამ უკვე დაწყებული ლიბერალიზაციის პროცესში შექმნას მომხმარებელთა უფლებელის დაცვისა და კერძო კომპანიების მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების კონტროლის ძლიერი მექანიზმი.

აქვე გვსურს ავღნიშნოთ ორი ურთიერთგამომრიცხავი ელემენტის არსებობა განსახილველი დოკუმენტის ენერგეტიკის ნაწილში – როდესაც საუბარია ელექტროენერგეტიკის დარგზე, განვითარებისა და აღორძინებისათვის გეზი სექტორის ლიბერალიზაციაზეა აღებული, ხოლო როდესაც საკითხი გაზის სექტორს ეხება, ასეთ შემთხვევაში უპირატესობა ახალი მონოპოლიის შექმნას ენიჭება.

რაც შეეხება დოკუმენტის იმ ნაწილს რომელიც გარემოს დაცვას მოიცავს, იქ მხოლოდ პოსტულატებადაა ჩამოთვლილი სახელმწიფოს გარემოს დაცვის პოლიტიკის ძირითადი ამოცანები და მოკლედაა განხილული მიმდინარე ოთხი პროექტი, რომლებიც ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამისაგან დამოუკიდებლად უკვე ბევრად ადრე მიმდინარეობდა. არ არის შეფასება უკვე მიღებული შედეგებისა სიღარიბის დაძლევის კუთხით.

აქვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ გლობალური დათბობის პირობებში, საქართველოში სიღარიბის დონის შესამცირებლად საჭიროა ჰაერის, ნიადაგისა და წყლის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად ღონისძიებებეის გატარება. ბოლო წლებში, კლიმატის მკვეთრი ცვლის გამო ზარალი მიადგა არა მხოლოდ მცირე ფერმერებს, არამედ მათთაც ვინც საზაფხულო/ზამთრის კურორტების ადგილობრივ მოსახლეობას წარმოადგენს, ვინაიდან საკურორტო სეზონის ხანგრძლივობა მეტად შემცირდა.

ამიტომ, მიგვაჩნია რომ სიღარიბის დაძლევის პროგრამის ფარგლებში კლიმატის ცვლილების სფეროსაც უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება.

დაბოლოს, არ შეგვიძლია უყურადღებოდ დავტოვოთ ის ფაქტი, რომ განსახილველი დოკუმნეტის შესავალ ნაწილში (*2. ეკონომიკის განვითარების ძირითადი ტენდენციები*) განვლილი პერიოდის განმავლობაში "ეკონომიკური ზრდის მთავარ მამოძრავებელ ფაქტორს წარმოადგენდა "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" ნავთობსადენის მშენებლობა. სამწუხაროდ ფართო საზოგადოებისათვის ამ პროექტის განხორციელების უარყოფითი შედეგების შესახებ უფრო მეტია ცნობილი ვიდრე დადებითის (პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული სოციალური და გარემოსდაცვითი პრობლების შესახებ დეწვრილებითი ინფორმაცია გთხოვთ იხილოთ ჩვენი ორგანიზაციის მიერ

შექმნილი, თანდართულ ანგარიშში), თუ არ ჩავთვლით იმ ფაქტს რომ პროექტის განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყანაში პირდაპირი ინვესტიციები (თუმცა მილების სახით). ამიტომ, აქაც, ისევე როგორც ანგარიშის სხვა ნაწილში მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მსგავსი განცხადებების დასაბუთება.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის

პატივისცემით,

ნინო დადალაური
ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"

თანდართულია:

"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი ნავთობსადენი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი მილსადენის კომანია და სოციალური და გარემოსდაცვითი ვალდებულეები", 2004 წლის მარტი, ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა", საქართველოს იურისთა ასოციაცია და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ბანკების დამკვირვებელთა ქსელი.